

**COVID-19 პანდემიისას საქართველოში
სტომატოლოგიური საქმიანობის წარმართვის
შუალედური რეკომენდაციები**

კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი
(პროტოკოლი)

2020 წელი

სარჩევი

1. პროტოკოლის დასახელება: COVID-19 პანდემიისას საქართველოში სტომატოლოგიური საქმიანობის წარმართვის შუალედური რეკომენდაციები	3
2. პროტოკოლის შემუშავების მეთოდოლოგია.....	3
3. პროტოკოლის მიზანი:	3
4. სამიზნე ჯგუფი.....	3
5. ვისთვის არის პროტოკოლი განკუთვნილი	3
6. პროტოკოლის გამოყენების პირობები.....	4
7. განმარტებები და შემოკლებები	4
8. პრობლემის აღწერა	5
9. ზოგადი რეკომენდაციები	6
10. პრეტრიაჟი/ანამნეზის შეკრება.....	7
11. გავრცელებული სტომატოლოგიური პრობლემების (მდგომარეობების) ტრიაჟი.....	7
12. უსიმპტომო და ანამნეზის არმქონე პაციენტების რუტინული მკურნალობა (ურგენტული და არაურგენტული შემთხვევები)	9
13. COVID-19-ის შესაძლო, სავარაუდო, დადასტურებულ შემთხვევებში სტომატოლოგიური მომსახურება	10
14. პირის ღრუს გავრცელებული დაავადებები, რომელთა მართვა შესაძლებელია დისტანციურად COVID-19- ის პანდემიის დროს.....	10
15. ზოგიერთი სტომატოლოგიური დაავადების მართვის სქემა COVID-19-ის პანდემიისას.....	12
16. COVID-19 პანდემიის პერიოდში სტომატოლოგიურ კლინიკებში ინფექციის კონტროლისა და პრევენციის რეკომენდაციები.....	23
17. სტომატოლოგიური კლინიკის თანამშრომლების ჯანმრთელობის სკრინინგი.....	25
18. დიაგნოსტიკური კვლევის მეთოდები COVID-19-ის პანდემიის პირობებში.....	25
19. აუდიტის კრიტერიუმები:.....	25
20. პროტოკოლის გადახედვის ვადები.....	26
21. პროტოკოლის ავტორთა ჯგუფი.....	26
22. გამოყენებული ლიტერატურა.....	27
23. დანართი N1.....	29

1. პროტოკოლის დასახელება:

COVID-19 პანდემიისას საქართველოში სტომატოლოგიური საქმიანობის წარმართვის შუალედური რეკომენდაციები.

2. პროტოკოლის შემუშავების მეთოდოლოგია

პროტოკოლი ემყარება დიდი ბრიტანეთის, შოტლანდიის, გერმანიის სტომატოლოგთა ასოციაციების, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO), ამერიკის შეერთებული შტატების დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების (CDC), ეროვნულ რეკომენდაციებს COVID-19-ის პანდემიის პერიოდში სტომატოლოგიური საქმიანობის წარმართვის შესახებ.

3. პროტოკოლის მიზანი

პროტოკოლის მიზანია სტომატოლოგიური დაავადებების მართვისადმი თანმიმდევრული, დროული, ეფექტური და უსაფრთხო მიდგომის სტიმულირება, და ამავდროულად იმ გამოწვევების რეკოგნიცია, რომელთაც ვხვდებით COVID-19-ის პანდემიის დროს.

4. სამიზნე ჯგუფი

პროტოკოლის სამიზნე ჯგუფია სტომატოლოგიური სერვისების მიმღები პაციენტები, რომელთაც ესაჭიროებათ მანიპულაციის ჩატარება და ამავდროულად დროს აქვთ:

- COVID-19 -ის შესაძლო დიაგნოზი;
- COVID-19 -ის სავარაუდო დიაგნოზი;
- COVID-19 -ის დადასტურებული დიაგნოზი;
- ან არ არიან ინფიცირებულები.

5. ვისთვის არის პროტოკოლი განკუთვნილი

პროტოკოლი განკუთვნილია სტომატოლოგიური პროფილის სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებული ჯანდაცვის პერსონალის, ინფექციის კონტროლის საკითხებზე მომუშავე სპეციალისტების და სტომატოლოგიური დაწესებულებების ადმინისტრაციისთვის.

6. პროტოკოლის გამოყენების პირობები

პროტოკოლში აღწერილია COVID-19 პანდემიის დროს პირის ღრუს გავრცელებული დაავადებების მართვის მოდიფიცირებული მექანიზმები. წარმოდგენილი მართვის მეთოდები ძირითადად ფოკუსირებულია სტომატოლოგიურ ტრიაჟზე, ტკივილის ან ინფექციის შემსუბუქებაზე, დისტანციური მართვის და კონსულტაციის (მაგ. ტელეფონი ან ვიდეოკამერა) უზრუნველყოფაზე, ასევე, ზოგიერთ არაურგენტულ მომსახურებაზე ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების წესების მკაცრი დაცვით, სტომატოლოგიური კლინიკის ჯანდაცვის პერსონალის უფლებაზე, მიიღოს სწორი გადაწყვეტილება ყოველი კონკრეტული პაციენტის მკურნალობის მეთოდების შერჩევასა, თუ არ არის დაწესებული სახელმწიფოს მხრიდან დამატებითი შეზღუდვა.

7. განმარტებები და შემოკლებები

SARS-CoV-2 - ახალი კორონავირუსი

COVID-19 - SARS-CoV-2 - ით გამოწვეული ინფექცია

COVID-19-ის შესაძლო შემთხვევა - ა.ა) პაციენტი მწვავე რესპირაციული ინფექციით (ცხელებით/ცხელების გარეშე და ერთ-ერთი რესპირაციული სიმპტომით მაინც, მაგ. ხველა, სუნთქვის უკმარისობა) და არ უკავშირდება სხვა ეტიოლოგიას, რომელიც ახსნიდა კლინიკურ მანიფესტაციას და სიმპტომების დაწყებამდე 14 დღით ადრე, მოგზაურობდა ან ცხოვრობდა COVID-19-ის ლოკალური გავრცელების ქვეყნებში ან იმყოფებოდა კონტაქტში ამ ქვეყნებიდან ჩამოსულ პირებთან;

ან

ა.ბ) პაციენტი ნებისმიერი მწვავე რესპირაციული ინფექციით და სიმპტომების გაჩენამდე 14 დღის განმავლობაში კონტაქტი COVID-19-ის დადასტურებულ ან სავარაუდო შემთხვევასთან (იხ. კონტაქტის განსაზღვრება);

ან

ა.გ) პაციენტი მძიმე მწვავე რესპირაციული ინფექციით (ცხელებით და ერთ-ერთი რესპირაციული სიმპტომით მაინც, მაგ. ხველა, სუნთქვის უკმარისობა და ჰოსპიტალიზაციის საჭიროება) და არ უკავშირდება სხვა ეტიოლოგიას, რომელიც ახსნიდა კლინიკურ მანიფესტაციას.

COVID-19-ის სავარაუდო შემთხვევა - ბ.ა) შესაძლო შემთხვევა, რომლის COVID-19-ზე ტესტირებისას მიღებულია გაურკვეველი შედეგი;

ან

ბ.ბ) შესაძლო შემთხვევა რომლის COVID-19-ზე სეროლოგიური ტესტირებით მიღებულია დადებითი შედეგი.

COVID-19-ის დადასტურებული შემთხვევა - COVID-19-ის ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევა, კლინიკური გამოვლინებებისა და სიმპტომებისგან დამოუკიდებლად.

იდს - ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, რომლებიც გამოიყენება სამედიცინო პერსონალის დასაცავად ინფექციური დაავადებებისგან.

სამედიცინო სათვალე - სპეციალური სათვალე, რომელიც გამოიყენება თვალების დასაცავად ბიოლოგიური სითხეების გაშხეფების რისკისას.

სამედიცინო ფარი (სახის) - სპეციალური გამჭვირვალე ფარი (ერთჯერადი ან მრავალჯერადი), რომელიც გამოიყენება თვალების და მთლიანი სახის დასაცავად ბიოლოგიური სითხეების გაშხეფების რისკისას.

რესპირატორი - სპეციალური ნიღაბი, რომელიც გამოიყენება სამედიცინო პერსონალის მიერ წვეთოვანი ან აიროვანი ინფექციისგან დასაცავად. მისი ფორმებია N 95, FFP 2, FFP 3.

NSAID - არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალებები.

8. პრობლემის აღწერა

კორონავირუსული დაავადება (COVID-19) მწვავე რესპირატორული ინფექციაა, რომელსაც (SARS-CoV-2) იწვევს. ახალი კორონავირუსის იდენტიფიცირება პნევმონიის ეპიდემიის დროს 2019 წლის დეკემბერში ქალაქ ვუჰანში, (ჰუბეის პროვინცია, ჩინეთი) მოხდა. ახალი კორონავირუსის (SARS-CoV-2) მაღალი კონტაგიოზურობის და ვირულენტობის გამო COVID-19-მა მიიღო პანდემიის ფორმა. დაავადება კლინიკურად ვლინდება რესპირატორული ინფექციის სიმპტომებით. იგი შეიძლება იყოს როგორც მსუბუქი, ასევე, მძიმე ვირუსული პნევმონიით მიმდინარე, რომელიც მწვავე რესპირატორულ დისტრეს-სინდრომს იწვევს და პოტენციურად ფატალურია.

ამჟამად ცნობილია COVID – 19-ის გავრცელების ორი გზა:

- დაინფიცირებულ ადამიანთან ხანგრძლივი მჭიდრო კონტაქტისას (2 მეტრზე ახლოს 15 წუთზე მეტ ხანს), როდესაც ვირუსი რესპირატორულ სეკრეტთან ერთად პირდაპირ შეიძლება მოხვდეს თვალში, პირში, სასუნთქ გზებში.
- არაპირდაპირი გადაცემის გზა - ვირუსით კონტამინირებულ ობიექტებზე და ზედაპირებზე ხელით შეხების შემდგომ დაბინძურებული ხელის თვალთან, პირთან და ცხვირთან მიტანით.

COVID-19-ის ყველაზე გავრცელებული სიმპტომებია ცხელება (83-98%), ხველა (59-82%), ქოშინი (18-55%), დაღლილობა (38-69%). სხვა კლინიკური სიმპტომებია: მიაღვია, თავის ტკივილი, გონების გაფანტულობა, სისხლიანი ხველა (ჰემოპტოზი), ყელის ტკივილი, სურდო, დიარეა, ყნოსვისა და გემოს შეგრძნების დაკარგვა, გულმკერდის კომპიუტერული ტომოგრაფიით (CT) მკრთალი გამჭვირვალე (ground-glass) დაჩრდილვის გამოვლენა.

გასათვალისწინებელია, რომ SARS-CoV-2 ვირუსის მაღალი კონტაგიოზურობის გამო, COVID-19 პანდემიის დროს, ზოგადად ყველა სტომატოლოგიური მანიპულაციის უსაფრთხოდ ჩატარება მოითხოვს სტომატოლოგიურ კაბინეტში მუშაობის სპეციალური პირობების და წესების დაცვას.

ამჟამად არსებული ხელმისაწვდომი სამეცნიერო მონაცემების ანალიზის საფუძველზე, ჩვენს მიერ შემუშავებულია COVID-19-ის პანდემიის დროს საქართველოს სტომატოლოგიურ კლინიკებში პაციენტების მომსახურების რეკომენდაციები.

9. ზოგადი რეკომენდაციები

9.1 დღემდე არ გვაქვს დასაბუთებული მონაცემები, რომ სტომატოლოგიური მომსახურება მოსახლეობაში COVID-19 დაავადების მომეტებულ გავრცელებას გამოიწვევს ან სტომატოლოგები დაინფიცირების თვალსაზრისით განსაკუთრებულ რისკის ჯგუფს წარმოადგენენ სხვა სამედიცინო სფეროებში მომუშავე პერსონალისგან განსხვავებით www.zm-online.de/news/politik/eine-einschraenkung-der-zahnmedizinischen-behandlung-ist-nicht-zu-rechtfertigen/. სტომატოლოგის მიერ მომსახურების აუცილებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ჩარევის სირთულის და ინფიცირების რისკის შესაბამისად, უსაფრთხოების ზომების სრული დაცვის უზრუნველყოფით, თუმცა პანდემიისას უმჯობესია მინიმუმამდე შემცირდეს ვიზიტები სტომატოლოგიურ კლინიკებში. პაციენტებმა, სახელმწიფოს მხრიდან დაწესებული შეზღუდვების პერიოდში, სტომატოლოგიური დახმარებისთვის უნდა მიმართონ მწვავე სიმპტომების არსებობის შემთხვევაში, ხოლო შეზღუდვების მოხსნის შემდეგ, დასაშვებია გეგმიური სტომატოლოგიური მომსახურების გაწევა უსაფრთხოების სტანდარტული და დამატებითი ღონისძიებების დაცვით (იდს, ხელის ჰიგიენა, სახიფათო ნარჩენების მართვა და ა.შ);

9.2 პაციენტთა მკურნალობის ტაქტიკის შერჩევასას გასათვალისწინებელია პაციენტისა და პერსონალის უსაფრთხოება, პაციენტთა ინტერესები, პროფესიული მოსაზრებები, პრიორიტეტი;

9.3 შეფასების პროცესში თითოეული პაციენტისთვის წინასწარ (ტრიაჟის ეტაპზე) უნდა განისაზღვროს COVID-19-ის სტატუსი - შესაძლო, სავარაუდო, დადასტურებული

შემთხვევა თუ ჯანმრთელი. სტატუსის დროული განსაზღვრა ხელს შეუწყობს პაციენტების ეფექტური მართვის პროცესს.

9.4 სტომატოლოგიურ კლინიკებში მინიმუმამდე უნდა შემცირდეს ახალი კორონავირუსის შესაძლო ექსპოზიცია/კონტაქტი სამედიცინო პერსონალთან და სხვა პაციენტებთან;

9.5 უმაღლესი პრიორიტეტი ენიჭება სტომატოლოგიურ დაწესებულებებში სამედიცინო პერსონალის ეფექტურ ინდივიდუალურ დაცვას, ინფექციის პრევენციის და კონტროლის სხვა ღონისძიებებს.

10. პრეტრიაჟი/ანამნეზის შეკრება

სტომატოლოგიურ კლინიკაში ვიზიტების შეთანხმება და პაციენტთა გამოკითხვა COVID-19-ის სიმპტომების არსებობაზე უნდა მოხდეს ტელეფონით. გამონაკლისი შეიძლება იყოს ზოგიერთი გადაუდებელი შემთხვევა. დაწესებულების მიმღებ ზონაში უნდა მოეწყოს პრეტრიაჟი.

კრიტერიუმები, საიდანაც წარმოიშვება ვარაუდი ინფექციის არსებობაზე:


- გქონდათ კონტაქტი COVID-19-ით ინფიცირებულთან?
- ლაბორატორიულად დაგიდასტურდათ SARS- CoV-2?
- იმყოფებოდით კარანტინში ან თვითიზოლაციაში?
- ხომ არ გქონდათ კონტაქტი კარანტინში ან თვითიზოლაციაში მყოფთან?
- გაქვთ გაციების სიმპტომები (ხველა, ტემპერატურა, სურდო, ყელის ტკივილი, სუნთქვის გაძნელება) ან დიარეა?
- გაქვთ მწვავე პრობლემები გემოსა და ყნოსვის მხრივ?
- გაქვთ მოგზაურობის ისტორია უკანასკნელი 14 დღის განმავლობაში?

11. გავრცელებული სტომატოლოგიური პრობლემების (მდგომარეობების) ტრიაჟი

პაციენტებისა და პერსონალის ინფიცირების რისკების შემცირების მიზნით, რეკომენდებულია დისტანციური ტრიაჟისა და კონსულტაციების (ტელეფონით, ვიდეო თუ ონლაინ) სისტემის ამუშავება, რომლის მიზანია სტომატოლოგიურ კლინიკაში COVID-19-ზე საექვო პაციენტების მოხვედრის პრევენცია.

ქვემოთ მოყვანილ სქემაზე წარმოდგენილია სატელეფონო ტრიაჟით პაციენტების მართვის მარტივი მეთოდი. აღნიშნული მეთოდი არ მოიცავს ყველა პათოლოგიას, ის მოიცავს მხოლოდ ყველაზე გავრცელებულ სიმპტომებს.

ტრიაჟის სქემა



12. უსიმპტომო და ანამნეზის არმქონე პაციენტების რუტინული სტომატოლოგიური მომსახურება (ურგენტული და არაურგენტული შემთხვევები)

ვირუსის გადაცემა უსიმპტომო, ანამნეზის არმქონე პაციენტიდან, შესაძლებელია თავიდან ავირიდოთ ჰიგიენური ზომების ზედმიწევნით დაცვით. ყველა პაციენტს მკურნალობამდე პირის ღრუში უნდა გამოეველოს ანტიმიკრობული სავლები.

იდს-ის გამოყენება უნდა მოხდეს ნებისმიერ პაციენტთან, მიუხედავად მისი დაავადების სტატუსისა. პაციენტის მიერ გენერირებული აეროზოლებისგან პერსონალის დაცვა ხდება რესპირატორით - N95 (ან FFP2, FFP3). ასევე, აუცილებელია სახის დამცავი ფარის ან სპეციალური სათვალის, ერთჯერადი სითხეგაუმტარი სამედიცინო ხალათის, სამედიცინო ქუდის/ჩაჩის, ერთჯერადი ხელთათმანების და ბახილების გამოყენება (იხ. დანართი N1). რესპირატორებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობის პირობებში, თუ სამედიცინო პერსონალი ფარის ნაცვლად იყენებს სათვალეს, რესპირატორის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად, რეკომენდებულია რესპირატორის ზემოდან ქირურგიული ნიღბის მორგება. ფარის გამოყენების შემთხვევაში, დამატებით ქირურგიული ნიღბი საჭირო აღარ არის. რესპირატორის გამოყენების ხანგრძლივობა შეადგენს 8 საათს.

იმ შემთხვევაში, თუ ქირურგიულ ნიღბს გამოიყენებენ დამოუკიდებლად, მისი შეცვლა უნდა მოხდეს შიდა ფენის დატენიანების შესაბამისად (არაუგვიანეს 2-3 საათში ერთხელ).

იდს-ის გლობალური დეფიციტის ფონზე, შეზღუდული ხელმისაწვდომობისას, დასაშვებია რეკომენდაციებზე დაყრდნობით რესპირატორის შენახვის და განმეორებითი გამოყენების წესის შემუშავება.

www.idsociety.org/practice-guideline/covid-19-guideline-infection-prevention/

www.baoms.org.uk/userfiles/pages/files/professionals/covid_19/baoms_baos_covid_advice_update_25_march_2020_final.pdf

www.medscape.com/viewarticle/929738?src=soc_fb_200501_mscpedt_news_mdscp_ppe&faf=1

www.adha.org/resources-docs/ADHA_TaskForceReport.pdf

www.cdc.gov/niosh/topics/hcwcontrols/recommendedguidanceextuse.html

www.nih.gov/news-events/news-releases/nih-study-validates-decontamination-methods-re-use-n95-respirators?fbclid=IwAR3S3KpyOVzBESr1K-R0Nbegkr3JfNUJ4UfHz5YyRgB1fbrsYKc8Yd-hfag#.Xpd5JCCVkr0.facebook

www.cdc.gov/coronavirus/2019-ncov/hcp/ppe-strategy/index.html

13. COVID-19-ის შესაძლო, სავარაუდო, დადასტურებულ შემთხვევებში სტომატოლოგიური მომსახურება

COVID-19-ით ინფიცირებულ და კარანტინში მყოფ პირებთან შეძლებისდაგვარად უნდა მოხდეს ტკივილის მართვა დისტანციური კონსულტაციით და მომსახურების გადავადება გამოჯანმრთელებამდე. თუ ეს მიუღწევადია, გადაუდებელი დახმარება უნდა მოხდეს ჰიგიენური ღონისძიებების და უსაფრთხოების წესების ზედმიწევნით დაცვით.

13.1 COVID-19-ით ინფიცირებული პაციენტი უნდა გამოიყოს ვიზიტზე მყოფი დანარჩენი პაციენტებისგან. მისი მომსახურება უნდა მოხდეს ერთსავარძლიან, იზოლირებულ კაბინეტში კარგი აერაციის პირობებში (ბუნებრივი ან ხელოვნური ვენტილაცია);

13.2 კლინიკაში შესვლამდე პაციენტი ირგებს ბახილებს, პირისა და ცხვირის დამცავს (ქირურგიული ან დოლბანდის ნიღაბი), იტარებს ხელის ჰიგიენას სპირტის შემცველი საშუალებით და შედის სტომატოლოგიურ კაბინეტში. უშუალოდ მკურნალობის დაწყებამდე იხსნის ნიღაბს;

13.3 მკურნალობამდე პაციენტს პირის ღრუში უნდა გამოევიდოს ანტიმიკრობული სავლები.

13.4 სამედიცინო პერსონალი იყენებს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს - რესპირატორი N95 (ან FFP2, FFP3), სახის დამცავი ფარი ან სპეციალური სათვალე, ერთჯერადი სითხეგაუმტარი სამედიცინო ხალათი, სამედიცინო ქუდი/ჩაჩი, ერთჯერადი ხელთათმანები, ბახილები (იხ.თავი 12).

13.5 შეძლებისდაგვარად თავიდან უნდა ავირიდოთ აეროზოლწარმოქმნელი სამკურნალო ღონისძიებები, რისი მიღწევაც შესაძლებელია ულტრაბგერითი საშუალებების, ტურბინების, ჰაერ-ჭავჭავური ხელსაწყოებისა და პიეზო-ქირურგიული ხელსაწყოების გამოყენების შემცირებით.

14. პირის ღრუს გავრცელებული დაავადებების დისტანციური მართვა COVID-19 - ის პანდემიის დროს

თვითიზოლაციის პოლიტიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია პაციენტს შევთავაზოთ თვითმოვლა, ტკივილგამაყუჩებელი საშუალებების (რეკომენდებული დოზირების დაცვით) გამოყენება. ამ დროს პირველადი სამედიცინო დახმარების სტომატოლოგიური ტრიაჟი ფოკუსირებულია სამი მიმართულებით:

- რჩევა / რეკომენდაცია;
- ანალგეზია (საჭიროების შემთხვევაში);
- ანტიმიკრობული თერაპია (საჭიროების შემთხვევაში).

პაციენტებს უნდა მიეცეთ რეკომენდაცია, სიმპტომების მართვა განხორციელონ სახლის პირობებში (თუ ეს შესაძლებელია). მსუბუქი და ზომიერი სტომატოლოგიური სიმპტომების მართვა უნდა განხორციელდეს დისტანციურად, საჭიროების შემთხვევაში, რეკომენდაციების, ანალგეტიკების ან/და ანტიმიკრობული საშუალებების დანიშვნის გზით. COVID-19-ის პანდემიის დროს პაციენტებს, რომლებიც იტანჯებიან კბილის ტკივილით, როგორც ოდონტოგენური ასევე არაოდონტოგენური ინფექციით, შეიძლება დასჭირდეთ თვითმოვლის რეჟიმზე ყოფნა ჩვეულებრივზე მეტი დროის განმავლობაში. თუ აღნიშნული ეხება პაციენტს, რომელსაც აქვს სხვა ძირითადი დაავადებაც, უნდა მოხდეს მისი გადამისამართება ოჯახის ექიმთან ან შესაბამის სპეციალისტთან. ნებისმიერ შემთხვევაში, თუ თვითმოვლის მასშტაბები მნიშვნელოვნად გაფართოვდა და სიმპტომების ალაგება ვერ მოხერხდა, პაციენტმა უნდა მიმართოს სტომატოლოგიურ კლინიკას, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას სამედიცინო ჩარევის აუცილებლობისა, თუ თვითმოვლის გაგრძელების შესაძლებლობაზე.

თვითმოვლის პროცესში, საჭიროების შემთხვევაში, დღის წესრიგში დგება ანალგეტიკების და ანტიმიკრობული საშუალებების დანიშვნა. გადაწყვეტილების მიღებისას გასათვალისწინებელია პაციენტის ძირითადი დაავადებების და პათოლოგიების ცოდნა. პაციენტთა სხვადასხვა ჯგუფებში მედიკამენტების დანიშვნა შეიძლება იყოს განსხვავებული. მაგალითად: მოხუცებში, იმუნოდეფიციტის მქონე პაციენტებში, პაციენტებში ღვიძლის ან თირკმლების პრობლემებით, ორსულებსა და მეძუძურ დედებში; გადაუდებელი სტომატოლოგიური დახმარების გაწევისას ექიმი უნდა ფლობდეს ინფორმაციას ყველა იმ პრეპარატზე, რომელსაც იღებდა პაციენტი თვითმოვლის პროცესში. სიმპტომების შენარჩუნების ან გაუარესების შემთხვევაში პაციენტები უნდა დაუკავშირდნენ მკურნალ სტომატოლოგს.

უმეტეს შემთხვევებში ოდონტოგენური ტკივილის მოხსნა შესაძლებელია სხვადასხვა ჯგუფის ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატების მეშვეობით. კბილის ტკივილის მართვისთვის რეკომენდებულია ოპტიმალური ანალგეზია, თუმცა გასათვალისწინებელია ტკივილგამაყუჩებლების დოზის გადამეტების კონტროლი და პრეპარატების უკუჩვენებები. www.sdcep.org.uk/wp-content/uploads/2020/04/SDCEP-MADP-COVID-19-drug-supplement-080420.pdf

სტომატოლოგიური ინფექციის მართვისთვის, რომელიც იწვევს შეშუპებას და მასთან ასოცირებულ ტკივილს, საჭიროა ანტიმიკრობული თერაპია. აღნიშნულ საშუალებებზე ალერგიული რეაქციის არსებობისას აუცილებელია ოჯახის ექიმის რეკომენდაცია. გასათვალისწინებელია ის, რომ თითოეული მედიკამენტის გამოყენება უნდა მოხდეს რეკომენდებული დოზით.

15. ზოგიერთი სტომატოლოგიური დაავადების მართვის სქემა COVID-19-ის პანდემიისას

პრობლემა (სიმპტომები) შეშუპებითა და ტკივილით მიმდინარე კბილის დაავადებები	მართვა
<p>მწვავე აპიკალური აბსცესი</p> <ul style="list-style-type: none"> • ტკივილი (როგორც წესი ლოკალიზებულია ერთ კბილზე); • ღრძილის შეშუპება (საკბილე მორჩის მფარავი რბილი ქსოვილების ლოკალური შეშუპება); • ცხელება; • სისუსტე, ლეტარგია, მადის დაკარგვა. 	<div style="border: 1px solid green; padding: 5px; margin-bottom: 10px;"> <p>რეკომენდაცია და თვითმოვლა</p> <ul style="list-style-type: none"> • რეკომენდებულია ოპტიმალური ანალგეზია; • შეშუპების ან სისტემური ინფექციის ნიშნების (ცხელება, სისუსტე) არსებობის შემთხვევაში დანიშნეთ ანტიმიკრობული პრეპარატები; • სთხოვეთ პაციენტს დაგიკავშირდეთ 48 - 72 საათში, იმ შემთხვევაში თუ სიმპტომები არ ალაგდა. </div> <div style="border: 1px solid orange; padding: 5px;"> <p>სასწრაფო დახმარება</p> <ul style="list-style-type: none"> • თუ პაციენტს აღენიშნება მწვავე, გაუსაძლისი ტკივილი, კბილის ექსტრაქციის ან განაკვეთის ჩატარების (ექსუდატის დრენირება) მიზნით აუცილებელია გადაუდებელი სტომატოლოგიური მომსახურების გაწევა. </div>
<p>ქრონიკული გამწვავებული პერიოდონტიტი</p> <ul style="list-style-type: none"> • ტკივილი (როგორც წესი ლოკალიზებულია ერთ კბილზე); • ღრძილების, სახის ან კისრის შეშუპება; • ცხელება; • სისუსტე, ლეტარგია, მადის დაკარგვა. 	<div style="border: 1px solid green; padding: 5px; margin-bottom: 10px;"> <p>რეკომენდაცია და თვითმოვლა</p> <ul style="list-style-type: none"> • რეკომენდებულია ოპტიმალური ანალგეზია; • შეშუპების ან სისტემური ინფექციის ნიშნების (ცხელება, სისუსტე) არსებობის შემთხვევაში დანიშნეთ ანტიმიკრობული პრეპარატები; • სთხოვეთ პაციენტს დაგიკავშირდეთ 48 - 72 საათში, იმ შემთხვევაში თუ სიმპტომები არ ალაგდა. </div> <div style="border: 1px solid orange; padding: 5px;"> <p>სასწრაფო დახმარება</p> <ul style="list-style-type: none"> • თუ პაციენტს აღენიშნება მწვავე, გაუსაძლისი ტკივილი, კბილის ექსტრაქციის ან განაკვეთის ჩატარების (ექსუდატის დრენირება) მიზნით აუცილებელია გადაუდებელი სტომატოლოგიური მომსახურების გაწევა. </div>

**მწვავე პერიკორონარიტი
(მერვე კბილის (სიბრძნის)
გამწვანებული ამოჭრა)**

- ტკივილი
ნაწილობრივ
ამოჭრილი კბილის
მიდამოში;
- კბილის ირგვლივი
ღრმილის შეშუპება;
- ყლაპვით გამოწვეული
დისკომფორტი ;
- პირის გაღების
შეზღუდვა;
- უსიამოვნო გემო ან
სუნი;
- ცხელება;
- ზოგადი საერთო
სისუსტე.

რეკომენდაცია და თვითმოვლა

- რეკომენდებულია ოპტიმალური ანალგეზია;
- რეკომენდებულია პირის ღრუს სავლები (ქლორჰექსიდინი/თბილი ჰიპერტონული ხსნარი);
- კბილის მცირე ზომის რბილი ჯაგრისის გამოყენება;
- ანტიმიკრობული პრეპარატების დანიშვნა, შეშუპების ან სისტემური ინფექციის ნიშნების (ცხელება, სისუსტე) შემთხვევაში;
- სთხოვეთ პაციენტს დაგიკავშირდეთ 48 საათში, იმ შემთხვევაში თუ სიმპტომები არ ალაგდა;
- ლექვითი დატვირთვა საპირისპირო მხარეს.

სასწრაფო დახმარება

- თუ პაციენტს აღენიშნება ინფექციის გავრცელება ყბა სახის მიდამოს მიმდებარე რეგიონებში ქვედა ყბის მოძრაობის შეზღუდვით, აუცილებელია გადაუდებელი სტომატოლოგიური მომსახურების გაწევა.

გადაუდებელი დახმარება

- თუ პაციენტს აღენიშნება ინფექციის გავრცელება ყბა სახის მიდამოს მიმდებარე რეგიონებში, ყლაპვის ან/და სუნთქვის გამწვანებით აუცილებელია გადაუდებელი დახმარება.

<p>პრობლემა (სიმპტომები) შეშუპებითა და ტკივილით მიმდინარე პაროდონტისა და პირის ღრუს ლორწოვანის დაავადებები</p>	<p>მართვა</p>
<p>მწვავე პაროდონტული აბსცესი (ქრონიკული პაროდონტიტის გამწვაება)</p> <ul style="list-style-type: none"> • ღრძილი, მტკივნეული და შეშუპებული; • რეგიონული ლიმფური კვანძები გადიდებული; • ჩირქოვანი ექსუდატი. 	<div data-bbox="553 531 1528 856" style="border: 1px solid green; padding: 5px;"> <p>რეკომენდაცია და თვითმოვლა</p> <ul style="list-style-type: none"> • რეკომენდებულია ოპტიმალური ანალგეზია; • შეშუპების ან სისტემური ინფექციის ნიშნების (ცხელება, სისუსტე) არსებობის შემთხვევაში დანიშნეთ ანტიმიკრობული პრეპარატები; • რეკომენდებულია პირის ღრუს სავლები (ქლორჰექსიდინი/თბილი ჰიპერტონული ხსნარი); • სთხოვეთ პაციენტს დაგიკავშირდეთ 48 - 72 საათში, იმ შემთხვევაში თუ სიმპტომები არ ალაგდა. </div> <div data-bbox="553 909 1528 1161" style="border: 1px solid orange; padding: 5px; margin-top: 10px;"> <p>სასწრაფო დახმარება</p> <ul style="list-style-type: none"> • თუ პაციენტს აღენიშნება მწვავე, ტკივილი, კბილის ექსტრაქციის ან განაკვეთის ჩატარების (ექსუდატის დრენირება) მიზნით აუცილებელია გადაუდებელი სტომატოლოგიური მომსახურების გაწევა. </div>
<p>წყლულოვან-ნეკროზული გინგივიტი / პაროდონტიტი</p> <ul style="list-style-type: none"> • ტკივილი (ზოგადი ან ადგილობრივი); • შეშუპება ; • ღრძილებიდან სისხლდენა; • ჰალიტოზი; • ღრძილის ეპითელიუმის დაწყლულება; • ცხელება, სისუსტე. 	<div data-bbox="553 1325 1507 1633" style="border: 1px solid green; padding: 5px;"> <p>რეკომენდაცია და თვითმოვლა</p> <ul style="list-style-type: none"> • რეკომენდებულია ოპტიმალური ანალგეზია; • რეკომენდებულია ქლორჰექსიდინის სავლები ან ოქსიგენაცია „ჟანგბადოვანი მეთოდით“; • პირის ღრუს ჰიგიენა; • ანტიმიკრობული პრეპარატების დანიშვნა (მეტრონიდაზოლი ანტიბიოტიკებთან კომბინაციაში). </div>

პირის ღრუს ლორწოვანის დაწყლულება (ალცერაცია)

- ტკივილი (ტუჩები და/ან პირის ღრუ);
- ანთება;
- დაწყლულება;
- ალცერაციის მძიმე ფორმის შემთხვევაში, ზოგიერთ პაციენტში (მაგ. ბავშვები, ხანდაზმულები, დაავადებულები) შეიძლება განვითარდეს დეჰიდრატაცია, სისუსტე ან აგზნებადობა.

რეკომენდაცია და თვითმოვლა

- დაწყლულების შემთხვევაში, რომელიც გრძელდება <3 კვირის განმავლობაში:
 - რეკომენდებულია ქლორჰექსიდინის სავლების გამოყენება (გამონაკლისს წარმოადგენენ 7 წლამდე ასაკის ბავშვები);
 - რეკომენდებულია ოპტიმალური ანალგეზია;
 - რეკომენდებულია მსუბუქი დიეტა;
 - თუ დაწყლულება გამოწვეულია პროთეზებით, რეკომენდებულია მათი მოხსნა და შენახვა;
 - პირველადი ჰერპესული გინგივოსტომატიტის ან ჰერპეს ზოსტერის შემთხვევაში, თუ პაციენტს აღენიშნება მწვავე სიმპტომები ან აქვს დაქვეითებული იმუნიტეტი, რეკომენდებულია ანტივირუსული პრეპარატების (აციკლოვირი ან პლიციკლოვირი) დანიშვნა, იდეალურია მათი დანიშვნა საწყის ეტაპზე.

სასწრაფო დახმარება

- თუ დაწყლულება გრძელდება ≥ 3 კვირის განმავლობაში პაციენტმა უნდა მიმართოს სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურების მიმწოდებელ კლინიკას.

გადაუდებელი დახმარება

- ორალური დაწყლულების დროს თუ პაციენტს აღენიშნება მკვეთრი დეჰიდრატაცია/გაუწყლოება საჭიროა გადაუდებელი დახმარება.

<p>პრობლემა (სიმპტომები) კბილის ტკივილით, მაგრამ შეშუპების გარეშე მიმდინარე დაავადებები</p>	<p>მართვა</p>
<p>შექცევადი პულპიტი (ღრმა კარიესული დეფექტით)</p> <ul style="list-style-type: none"> • კბილის ტკივილი- შეიძლება იყოს პულსაციის შეგრძნებით და ასოცირდებოდეს გამლიზიანებელთან; • პერკუსია უმტკივნეულო. 	<div data-bbox="565 495 1507 674" style="border: 1px solid green; padding: 5px;"> <p>რეკომენდაცია და თვითმოვლა</p> <ul style="list-style-type: none"> • რეკომენდებულია ოპტიმალური ანალგეზია; • სიმპტომების გაუარესების შემთხვევაში ურჩიეთ პაციენტს აუცილებლად დაგიკავშირდეთ. </div> <div data-bbox="565 726 1507 961" style="border: 1px solid yellow; padding: 5px; margin-top: 10px;"> <p>სასწრაფო დახმარება</p> <ul style="list-style-type: none"> • თუ ტკივილი წარმოიქმნა და გახანგრძლივდა იწვევს კვების შეზღუდვას და ლეჭვის პროცესის დარღვევას. დაავადების მართვის მიზნით პაციენტმა უნდა მიმართოს სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურების მიმწოდებელ კლინიკას. </div>
<p>შეუქცევადი პულპიტი</p> <ul style="list-style-type: none"> • კბილის ტკივილი- სპონტანური და უფრო ხანგრძლივი (რამდენიმე საათის განმავლობაში); • ტკივილი ლოკალიზებულია ერთი ან რამდენიმე კბილის მიდამოში. იგი შეიძლება იყოს ყრუ და პულსირებადი; • შეიძლება გაძლიერდეს მაღალტემპერატურის სავლებზე, მაგრამ შეიძლება ასევე შემსუბქდეს ცივი სავლების გამოყენებით. 	<div data-bbox="565 1199 1507 1461" style="border: 1px solid green; padding: 5px;"> <p>რეკომენდაცია და თვითმოვლა</p> <ul style="list-style-type: none"> • რეკომენდებულია ოპტიმალური ანალგეზია; • სიმპტომების გაუარესების შემთხვევაში ურჩიეთ პაციენტს აუცილებლად დაგიკავშირდეთ. </div> <div data-bbox="565 1493 1507 1776" style="border: 1px solid orange; padding: 5px; margin-top: 10px;"> <p>სასწრაფო დახმარება</p> <ul style="list-style-type: none"> • თუ ტკივილი მწვავე და უკონტროლოა, და იწვევს უძილობას და კვების შეზღუდვას პროცესის მართვის მიზნით პაციენტმა უნდა მიმართოს სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურების მიმწოდებელ კლინიკას. </div>

<p>დენტინის ჰიპერმგრძობელობა</p> <ul style="list-style-type: none"> • ტკივილი (მიზეზობრივი, ძირითადად გამლიზიანებლით გამოწვეული); • ღრძილის რეცესიით გამოწვეული ფესვის გაშიშვლება. 	<p>რეკომენდაცია და თვითმოვლა</p> <p>ურჩიეთ პაციენტს:</p> <ul style="list-style-type: none"> • რეგულარულად გამოიყენოს მგრძობელობის დამაქვეითებელი კბილის პასტები; • მოერიდოს გამაღიზიანებელ ფაქტორებს (ცივი და/ან მჟავე საკვების მიღებას).
---	--

<p>პრობლემა (სიმპტომები) კბილის ტრავმა</p>	<p>მართვა</p>
<p>კბილის სრული ან ნაწილობრივი ამოვარდნილობა და კბილის მოტეხილობა</p> <ul style="list-style-type: none"> • კბილი ამოვარდნილია ან დაკარგული აქვს სტატიკა ნაწილობრივი ამოვარდნილობის გამო. 	<p>რეკომენდაცია და თვითმოვლა</p> <ul style="list-style-type: none"> • ურჩიეთ პაციენტს რბილი საკვების ღეჭვითი დატვირთვა გადაიტანოს საპირისპირო მხარეს, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს ანალგეზიური საშუალებები და პირის ღრუს ანტისეპტიკური სავლები. <p>სასწრაფო დახმარება</p> <ul style="list-style-type: none"> • კბილის შენარჩუნების მიზნით მიმართეთ სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურების მიმწოდებელ კლინიკას.

**(ზზარი, ფრაქტურა,
აღდგენა/რესტავრაცია)**

- ტკივილი (ზოგადი და ადგილობრივი; მგრძნობელობა ღეჭვაზე);
- მგრძნობელობა ცხელ, ცივ და ტკბილ საკვებზე და ღეჭვაზე;
- კბილის მოტეხილობა გვირგვინის ყელის ან ფესვის დონეზე;
- გახსნილი კბილის ღრუ;
- მახვილი კიდე კბილზე;
- კბილის ან კბილების მობილური სეგმენტი მოტეხილი სეგმენტების მახვილი კიდეებით გამოწვეული ენის, ტუჩის ან ლოყის რბილი ქსოვილების ტრავმა;
- ღრძილების ანთება.

რეკომენდაცია და თვითმოვლა

- დაზიანებული კბილის შემთხვევაში:
 - თუ კბილი მგრძნობიარეა ტემპერატურული გამღიზიანებლის მიმართ, რეკომენდებულია მისი გადაუდებელი დროებითი რეპოზიცია;
 - ურჩიეთ პაციენტს დაგიკავშირდეთ თუ ოპტიმალური ანალგეზიის შედეგად არ მოხდა მტკივნეული სიმპტომების შემსუბუქება;
- გვირგვინების და ხიდების დაზიანების შემთხვევაში:
 - რეკომენდებულია გადაუდებელი დროებითი რეპოზიცია;
 - თუ პაციენტს აქვს მტკივნეული სიმპტომები, რეკომენდებულია ოპტიმალური ანალგეზია.

სასწრაფო დახმარება

- გვირგვინის ან ყელის დონეზე კბილის მოტეხილობის დროს პულპის გაშიშვლების გამო საჭიროა სასწრაფო სტომატოლოგიური დახმარება ოდონტალგიის პრევენციის მიზნით;
- კბილის ფესვის გასწვრივი ან განივი მოტეხილობისას საჭიროა სასწრაფო სტომატოლოგიური დახმარება.

გადაუდებელი დახმარება

- კბილის ქსოვილის ან ბუნის მონატეხი ფრაგმენტის ასპირაციის შემთხვევაში საჭიროა გადაუდებელი დახმარება.

**დენტო-ალვეოლური
დაზიანებები**

- ტკივილი;
- სისხლდენა;
- შეშუპება;
- კბილის სტატიკის დარღვევა;
- პარესთეზია;
- ძვლის მოტეხილობებისთვის დამახასიათებელი სხვა სიმპტომი.

რეკომენდაცია და თვითმოვლა

- დაზიანებული ადგილის დასამუშავებლად მსუბუქად ჩამოიბანეთ სუსტი ანტისეპტიკური ხსნარებით და ამოიღეთ პირის ღრუდან თავისუფლად მდებარე უცხო სხეულები (კბილების ან პროთეზის ნამსხვრევები);
 - დაზიანებულ ან შეშუპებულ ქსოვილზე დაიდეთ ყინულის საფენები;
 - გამოიყენეთ სტერილური ფილთა დამწოლი ნახვევის სახით სისხლდენის შესაჩერებლად.
- ტკივილის შემთხვევაში გამოიყენეთ ანალგეზიური პრეპარატები.

გადაუდებელი დახმარება

- თუ სისხლდენა ძლიერია და არ ხერხდება მისი შეჩერება 15-30 წუთის განმავლობაში, თუ პაციენტს სახის ტრავმასთან ერთად აღენიშნება ქალაქტინის შეთავსებული დაზიანება თავბრუსხვევით, თავის ტკივილით, ცნობიერების ეპიზოდური დაკარგვით ან პირღებინების ეპიზოდით სასწრაფოდ მიმართეთ გადაუდებელი დახმარების სამსახურს. კბილის ან პროთეზის ფრაგმენტი მოხვდა სასუნთქ გზებში ობტურაციული ასფიქსიის განვითარებით სასწრაფოდ მიმართეთ გადაუდებელი დახმარების სამსახურს.

<p>პრობლემა (სიმპტომები) კბილის ექსტრაქციის შემდგომი გართულებები</p>	<p>მართვა</p>
<p>პოსტექსტრაქციული ჰემორაგია (სისხლდენა)</p> <ul style="list-style-type: none"> • სისხლდენა შეიძლება დაიწყოს დაუყოვნებლივ ან რამოდენიმე საათში ოპერაციის (კბილის ექსტრაქციის) დასრულებიდან; • სისხლდენას შესაძლოა ჰქონდეს ადგილი ექსტრაქციიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ შემთხვევაში სავარაუდოა ჭრილობის ინფიცირება. 	<div data-bbox="581 373 1523 1056" style="border: 1px solid green; padding: 5px;"> <p>რეკომენდაცია და თვითმოვლა</p> <ul style="list-style-type: none"> • თავი შეიკავეთ გადმონერწყვებისა და სავლების გამოყენებისგან. • რჩევები პაციენტისათვის: <ul style="list-style-type: none"> ○ ჰემორაგიის დროს ერთჯერადად გამოვიღეთ თბილი (არა ცხელი) წყალი; ○ მოათავსეთ მარლის ხსნარში დასველებული მარლის ფთილა კბილბუდეზე და დააჭირეთ კბილი მაგრად, შეინარჩუნეთ უწყვეტი ზეწოლა 20 წუთის განმავლობაში, სანამ შეამოწმებთ შეჩერებულია თუ არა სისხლდენა; ○ აუცილებლობის შემთხვევაში კიდევ ერთხელ გაიმეორეთ აღნიშნული პროცედურა; ○ პაციენტს შეიძლება დაენიშნოს სისხლდენის შემაჩერებელი პერორალური მოხმარების მედიკამენტები. • სისხლდენის შეჩერების შემდეგ კოლტის შესანარჩუნებლად ურჩიეთ პაციენტს მოერიდოს მაგარ საკვებს, ღეჭვით დატვირთვას შესაბამის მხარეზე, ასევე ალკოჰოლის მიღებას, მოწვევას და ფიზიკურ დატვირთვას 24-48 საათის განმავლობაში. </div> <div data-bbox="581 1066 1523 1297" style="border: 1px solid orange; padding: 5px; margin-top: 10px;"> <p>სასწრაფო დახმარება</p> <ul style="list-style-type: none"> • იმ შემთხვევაში თუ ვერ ხერხდება სისხლდენის შეჩერება, მაგრამ სისხლდენა არის საშუალო ინტენსივობის მდგომარეობის მართვა უნდა მოხდეს სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურების მიმწოდებელ კლინიკაში. </div> <div data-bbox="581 1308 1523 1549" style="border: 1px solid red; padding: 5px; margin-top: 10px;"> <p>გადაუდებელი დახმარება</p> <ul style="list-style-type: none"> • თუ სისხლდენა არის პროფუზული ხასიათის (მოედინება უწყვეტი ნაკადის სახით), რაც ჩვეულებრივ ვითარდება სხვადასხვა სახის კოაგულოპათიების დროს, ან როდესაც პაციენტი იღებს ანტიკოაგულანტებს (მაგ. ვარფარინი, ასპირინი), საჭიროა გადაუდებელი დახმარება. </div>
<p>მშრალი კბილბუდის სინდრომი (ალვეოლიტი)</p> <ul style="list-style-type: none"> • ტკივილი იწყება კბილის ექსტრაქციიდან 24-48 საათში ამოღებული კბილის საპროექციო არეში; • აღინიშნება უსიამოვნო სუნის და გემო დაზიანებული 	<div data-bbox="581 1585 1523 1791" style="border: 1px solid green; padding: 5px;"> <p>რეკომენდაცია და თვითმოვლა</p> <ul style="list-style-type: none"> • რეკომენდებულია ოპტიმალური ანალგეზია; • რეკომენდებულია პირის ღრუს სავლები; • ინფექციის პროგრესირების შემთხვევაში ანტიბაქტერიული თერაპია. </div> <div data-bbox="581 1822 1523 2074" style="border: 1px solid orange; padding: 5px; margin-top: 10px;"> <p>სასწრაფო დახმარება</p> <ul style="list-style-type: none"> • ანთებითი პროცესის პროგრესირებისა და გავრცელების შემთხვევაში, რაც თანდართულია მწვავე, შეტევიითი ან გამუდმებული ხასიათის ტკივილებით, მიმართეთ სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურების მიმწოდებელ კლინიკას. </div>

<p>უბნიდან;</p> <ul style="list-style-type: none"> • ზოგიერთ შემთხვევაში აღინიშნება შეშუპება. 	
--	--

<p>პრობლემა (სიმპტომები) გადაუდებელი ორთოპედიული მკურნალობა</p>	<p>მართვა</p>
<p>ცუდად მორგებული ან მორყეული მოუხსნელი კონსტრუქციები (გვირგვინი, ხიდი) გატეხილი და/ან დაზიანებული მოსახსნელი პროთეზები</p> <ul style="list-style-type: none"> • ტკივილი; • მეტყველების გაძნელება; • კვების გაძნელება. 	<div data-bbox="574 688 1523 982" style="border: 1px solid green; padding: 5px;"> <p>რეკომენდაცია და თვითმოვლა</p> <ul style="list-style-type: none"> • რეკომენდებულია ოპტიმალური ანალგეზია; • ურჩიეთ პაციენტს ყოველთვის მოიხსნას პროთეზი, როდესაც ეს შესაძლებელია; • ურჩიეთ პაციენტს მიმართოს რუტინული სტომატოლოგიური დახმარებისათვის სტომატოლოგიურ კლინიკას. </div> <div data-bbox="574 1010 1523 1205" style="border: 1px solid yellow; padding: 5px; margin-top: 10px;"> <p>სასწრაფო დახმარება</p> <ul style="list-style-type: none"> • თუ გაგრძელდა ტკივილი, რბილი ქსოვილის შეშუპება, მიმართეთ სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურების მიმწოდებელ კლინიკას. </div> <div data-bbox="574 1245 1523 1539" style="border: 1px solid red; padding: 5px; margin-top: 10px;"> <p>გადაუდებელი დახმარება</p> <ul style="list-style-type: none"> • თუ პაციენტს აღინიშნება ტკივილი, რბილი ქსოვილის შეშუპება მიმართეთ გადაუდებელი დახმარების სამსახურს; • კბილის ან პროთეზის ფრაგმენტი მოხვდა სასუნთქ გზებში ობტურაციული ასფიქსიის განვითარებით სასწრაფოდ მიმართეთ გადაუდებელი დახმარების სამსახურს. </div>

<p>პრობლემა (სიმპტომები) გადაუდებელი ორთოდონტიული მკურნალობა</p>	<p>მართვა</p>
<p>გატეხილი ან მორყეული ორთოდონტიული აპარატებით გამოწვეული ტრავმა</p> <ul style="list-style-type: none"> • ტკივილი; • რბილი ქსოვილის დაზიანება, შეშუპება. 	<div data-bbox="621 478 1495 716" style="border: 1px solid green; padding: 5px;"> <p>რეკომენდაცია და თვითმოვლა რეკომენდებულია ოპტიმალური ანალგეზია.</p> <ul style="list-style-type: none"> • სხვა ორთოდონტიული პრობლემების მართვასთან დაკავშირებით ურჩიეთ პაციენტს მიმართოს რუტინული სტომატოლოგიური დახმარებისათვის სტომატოლოგიურ კლინიკას. </div> <div data-bbox="609 785 1482 995" style="border: 1px solid yellow; padding: 5px; margin-top: 10px;"> <p>სასწრაფო დახმარება</p> <ul style="list-style-type: none"> • თუ გაგრძელდა ტკივილი, რბილი ქსოვილის შეშუპება, მიმართეთ სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურების მიმწოდებელ კლინიკას. </div> <div data-bbox="609 1087 1495 1398" style="border: 1px solid red; padding: 5px; margin-top: 10px;"> <p>გადაუდებელი დახმარება</p> <ul style="list-style-type: none"> • თუ პაციენტს აღენიშნება ტკივილი, რბილი ქსოვილის შეშუპება მიმართეთ გადაუდებელი დახმარების სამსახურს; • კბილის ან პროთეზის ფრაგმენტი მოხვდა სასუნთქ გზებში ობტურაციული ასფიქსიის განვითარებით სასწრაფოდ მიმართეთ გადაუდებელი დახმარების სამსახურს. </div>

16. COVID-19-ის პანდემიის პერიოდში სტომატოლოგიურ კლინიკებში ინფექციის კონტროლისა და პრევენციის რეკომენდაციები

სტომატოლოგიურ კლინიკებში ინფექციის პრევენციის და კონტროლის ღონისძიებები მოიცავს:

საინჟინრო კონტროლს - პანდემიის პერიოდში დაწესებულებამ, სადაც ეს შესაძლებელია, უნდა უზრუნველყოს ფიზიკური ბარიერების მოწყობა, როგორცაა, მაგალითად, გამჭვირვალე მასალისგან დამზადებული ტიხრები და შირმები წარმოქმნილი აეროზოლების შესაკავებლად,, ასევე დეზობარიერები შესასვლელებში, 2 მ-იანი დისტანციის დაცვის მანიშნებლები და სხვა.. ხელოვნური ვენტილაციის არსებობისას მისი გამართულობის (მათ შორის ფილტრების დაბინძურების ყოველთვიური მონიტორინგი) კონტროლი, აპარატურის, მათ შორის, სასტერილიზაციო დანადგარების მუშაობის საინჟინრო კონტროლი, წყალმომარაგებისა და სანიტარიული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და გაუმჯობესება, იდს-ს, ხელის ჰიგიენის საშუალებების (საპონი, ანტისეპტიკი, ერთჯერადი ქაღალდები), სადეზინფექციო საშუალებების მარაგის შექმნა და მუდმივად შევსება.

ადმინისტრაციულ კონტროლს - სტომატოლოგიურ დაწესებულებას უნდა ჰქონდეს შემუშავებული საუკეთესო პრაქტიკასა და ეროვნულ რეკომენდაციებზე დაფუძნებული პროტოკოლები, წესები, ნაკადების მართვის და დაინფიცირებული პირების გამოვლენის ალგორითმები, რომლებიც ადაპტირებული იქნება დაწესებულების სპეციფიკასთან. პერსონალის ტრენინგების დაგეგმვა/განხორციელება, ტრენინგის თემატიკა უნდა მოიცავდეს ხელის ჰიგიენის, სტანდარტული და დამატებითი უსაფრთხოების ზომების, ნარჩენების მართვის, დასუფთავების, იდს-ის მორგების და უსაფრთხო მოხსნის წესების სწავლებას როგორც თეორიულად, ასევე, პრაქტიკულად სიმულაციური სავარჯიშოების გზით. პერსონალს უნდა ჩაუტარდეს საწყისი და განმეორებითი ტრენინგი, რათა დარწმუნდეთ, რომ მათ აქვთ შესაბამისი ცოდნა და უნარები. ადმინისტრაციამ უნდა გამოყოს ინფექციის პრევენციასა და კონტროლზე პასუხისმგებელი პირი „ნოზოკომიური ინფექციების ეპიდზედამხედველობის, პრევენციისა და კონტროლის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 7 სექტემბრის №01-38/ნ ბრძანების მე-5 მუხლის შესაბამისად.

თანამშრომლებს უნდა ჰქონდეთ მათ სამუშაოსთან დაკავშირებული საფრთხეების შესახებ სრული ინფორმაცია და ზედმიწევნით ფლობდნენ COVID-19-ის გავრცელების პრევენციის მეთოდებს. საჭიროებისამებრ, სტრესის შესამცირებლად, უნდა მოხდეს პერსონალის ფსიქოლოგიური მხარდაჭერის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

სამუშაო პრაქტიკის კონტროლი - დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს პერსონალის უსაფრთხოების პოლიტიკა, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა და მოახდინოს მისი რეალიზება პრაქტიკაში. მუდმივად უნდა ხდებოდეს სამუშაო არეში დაზიანების რისკების შეფასება და მათი აღმოფხვრა. თანამშრომელთა უმეტესობამ, რომლებიც ინფიცირების მაღალი ან ძალიან მაღალი რისკის წინაშე დგანან, შესასრულებელი სამუშაოდან გამომდინარე, უნდა გამოიყენონ ხელთათმანები, ერთჯერადი სითხეგაუმტარი სამედიცინო ხალათი, სახის დამცავი ფარი/სათვალე, რესპირატორი, ქირურგიული ნიღაბი არასამკურნალო სივრცეში და დაიცვან დისტანცია. მათ, ვინც უშუალოდ ასრულებს აეროზოლების წარმომქმნელ პროცედურას ან ახორციელებს ინფექციური ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ აქტივობებს, აგრეთვე სამედიცინო ინსტრუმენტების წინასასტერილიზაციო დამუშავებას, უნდა გამოიყენონ რესპირატორები და სახის დამცავი ფარები. არსებობს რეკომენდაციები ალტერნატიული დღეების ან ცვლებში მუშაობის შემოღებასთან დაკავშირებით, რათა შემცირდეს დაწესებულებაში/ობიექტზე ერთდროულად მყოფ თანამშრომელთა საერთო რაოდენობა.

www.moh.gov.ge/uploads/files/2020/Failebi/Danarti_N1_Zogadi_Rekomendaciebi.pdf

რესპირაციული ჰიგიენა - ეს არის ღონისძიებათა სისტემა, რომელიც რესპირაციული ინფექციების გავრცელების პრევენციას ემსახურება და COVID-19-ის პანდემიისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

რესპირატორული ჰიგიენის ღონისძიებებია:

- რესპირაციული ჰიგიენის (ხველის ეტიკეტის) თვალსაჩინოებების განთავსება;
- რესპირაციული ჰიგიენის კუთხის მოწყობა პრეტრიაჟის ზონაში, სადაც განლაგდება ერთჯერადი ხელსახოცები, ხელის ანტისეპტიკი და ნიღბები.
- პანდემიის დროს პაციენტები, ვინც მიმართავს კლინიკას, უნდა იყვნენ აღჭურვილი ქირურგიული ან ქსოვილის ნიღბებით, ნიღაბს იხსნიან უშუალოდ სტომატოლოგიურ სავარძელზე. არასამკურნალო სივრცეში ქირურგიული ან ქსოვილის ნიღბები უნდა გამოიყენონ კლინიკის თანამშრომლებმაც. www.cdc.gov/coronavirus/2019-ncov/hcp/infection-control-recommendations.html?CDC_AA_refVal=https%3A%2F%2Fwww.cdc.gov%2Fcoronavirus%2F2019-ncov%2Finfection-control%2Fcontrol-recommendations.html&fbclid=IwAR0db9-8RZb8vLc8rtq8kgqjEp1ibIhVXuNczkugs12r34JxSiuylfUbbE0
- დაცემინების ან დახველებისას პაციენტებმა და პერსონალმა უნდა აიფარონ ერთჯერადი ხელსახოცი ან იდაყვში მოხრილი მხარი.
- რესპირაციული სიმპტომების (ცხელება, ხველა, სუნთქვის გაძნელება და სხვ.) გამოვლენისთანავე კლინიკის პერსონალმა უნდა დატოვოს სამუშაო სივრცე და მიმართოს ოჯახის ექიმს.

17. სტომატოლოგიური კლინიკის თანამშრომლების ჯანმრთელობის სკრინინგი

COVID-19-ის პანდემიისას ყოველდღიურად უნდა მოხდეს პერსონალის გამოკითხვა რესპირატორული სიმპტომატიკის არსებობაზე - ხველა, ტემპერატურა, სურდო, ყელის ტკივილი, სუნთქვის გაძნელება, დიარეა, ყნოსვის და გემოს ცვლილება. ასევე, ტემპერატურული სკრინინგი (უკონტაქტო თერმომეტრით) და აღრიცხვის წარმოება. სასურველია დამატებით მოხდეს პერსონალის თვითმონიტორინგი (ტემპერატურის სკრინინგი). COVID-19-ისთვის დამახასიათებელი სიმპტომების გამოვლენისას დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ადმინისტრაციის და ინფექციების პრევენციასა და კონტროლზე პასუხისმგებელი პირის ინფორმირება და დაიგეგმოს პერსონალის გამოკვლევა SARS-CoV-2-ზე.

18. დიაგნოსტიკური კვლევის მეთოდები COVID-19-ის პანდემიის პირობებში

COVID-19-ის პანდემიისას სტომატოლოგიურ დაწესებულებებში ამა თუ იმ დიაგნოსტიკური ვიზუალიზაციის მეთოდის შერჩევა დამოკიდებულია კონკრეტული დაწესებულების ტექნიკურ შესაძლებლობებზე.

უპირატესობა ენიჭება პანორამულ ორთოპანტომოგრაფიას, კომპიუტერულ ტომოგრაფიას, ექსტრაორალურ რადიოგრაფიას. ეს მეთოდები შესაძლებელია გამოიყენონ იქ, სადაც ხელმისაწვდომია შესაბამისი აპარატურა. სადაც არ არის ხელმისაწვდომი მსგავსი აპარატურა, ინტრაორალური რადიოგრაფია უნდა გამოიყენონ მხოლოდ ინფექციის პრევენციის და კონტროლის პრინციპების დაცვით, ინფიცირების რისკის სათანადო შეფასების შემდეგ - რამდენად არის შესაძლებელი ვირუსით პოტენციურად კონტამინირებული საგნების/ზედაპირების დეზინფექცია, ხელის ჰიგიენა, დისტანციის დაცვა პერსონალსა და პაციენტს შორის, უნდა გაირკვეს აღენიშნებოდა თუ არა პაციენტს წარსულში ლებინების რეფლექსის გააქტივება ინტრაორალური რადიოგრაფიისას, ასევე, უნდა შეფასდეს ხველის რეფლექსის გააქტივების რისკი.

პაციენტების ერთმანეთთან კონტაქტის თავიდან ასაცილებლად მაქსიმალურად უნდა გაიზარდოს დიაგნოსტიკურ პროცედურებს შორის ინტერვალი და ინტერვალისას ხდებოდეს ბუნებრივი ან ხელოვნური ვენტილაცია და ზედაპირების დამუშავება.

19. აუდიტის კრიტერიუმები

COVID-19-ის პანდემიისას სტომატოლოგიური კლინიკის სამედიცინო მომსახურების ხარისხის შესაფასებლად რეკომენდებულია შემდეგი კრიტერიუმების გამოყენება:

19.1 პაციენტებთან სატელეფონო ტრიაჟის შემდეგ ბინაზე თვითმოვლის რეჟიმზე

დარჩენილი პაციენტების პროცენტული მაჩვენებელი;

19.2 კლინიკაში დაინფიცირებული პერსონალის პროცენტული მაჩვენებელი;

19.3 პაციენტთა რა პროცენტში განხორციელდა სასწრაფო დახმარება;

19.4 ტრიაჟისას იდენტიფიცირებული COVID-19-ზე საექვო პაციენტების პროცენტული მაჩვენებელი.

20. პროტოკოლის გადახედვის ვადები

სასურველია პროტოკოლი გადაიხედოს და შეივსოს გამოყენებული წყაროების განახლების შემთხვევაში, ახალი მტკიცებულებების გათვალისწინებით.

21. პროტოკოლის ავტორთა ჯგუფი

მარინა მამალაძე – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საქართველოს სტომატოლოგთა პროფესიული ასოციაციის პრეზიდენტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

ზურაბ ვადაჭკორია – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, ბავშვთა და მოზარდთა ყბა-სახის ქირურგიისა და ქირურგიული სტომატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;

ზურაბ ორჯონიკიძე – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კანცლერი, პირის ღრუს ქირურგიისა იმპლანტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;

ლია სანოძე - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, თსსუ-ის აპოლონ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკის დირექტორი;

თინათინ გაბრიჩიძე - ექიმი-ეპიდემიოლოგი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეპიდემიოლოგიის და ბიოსტატისტიკის დეპარტამენტის დოქტორანტი, საქართველოს ეპიდემიოლოგთა და ინფექციის კონტროლის სპეციალისტთა ასოციაციის დამფუძნებელი და ვიცე-პრეზიდენტი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება 01-123/ო „რეკომენდაციები სტომატოლოგიური დაწესებულებებისთვის ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების შემთხვევაში“ (დანართი N15). 25.03.2020წ;
https://www.moh.gov.ge/uploads/files/2020/Failebi/Danarti_N15-Covid-19.pdf
2. სამედიცინო დაწესებულებაში ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19)-ის შესაძლო და დადასტურებული შემთხვევების მართვისათვის საჭირო ინდივიდუალური დაცვის საშუალებების (იდს) გამოყენებისა და სხვა უსაფრთხოების ღონისძიებების რეკომენდაციები.
https://www.moh.gov.ge/uploads/files/2020/Failebi/Danarti_N23_Rekomendaciebi.pdf
3. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება 01-149/ო „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები“ (დანართი N1). 04.04.2020წ;
https://www.moh.gov.ge/uploads/files/2020/Failebi/Danarti_N1_Zogadi_Rekomendaciebi.pdf
4. Interim Infection Prevention and Control Recommendations for Patients with Suspected or Confirmed Coronavirus Disease 2019 (COVID-19) in Healthcare Settings. CDC. April 13, 2020
5. Management of Acute Dental Problems During COVID-19 Pandemic. Scottish Dental Clinical Effectiveness Programme. March 30 - April 23, 2020;
<http://www.sdcep.org.uk/published-guidance/acute-dental-problems-covid-19/>
6. **Recommendations for Urgent and Emergency care during the COVID-19 pandemic.** British Association of Oral Surgery and the Faculty of Dental Surgery, Royal College of Surgeons of England. April 23, 2020;
<https://www.rcseng.ac.uk/dental-faculties/fds/coronavirus/>
7. Infection Prevention & Control in Dental Settings. [Division of Oral Health](#), [CDC](#). April 8, 2020;
<https://www.cdc.gov/OralHealth/infectioncontrol/index.html>
8. Interim Infection Prevention and Control Guidance for Dental Settings During the COVID-19 Response. CDC. April 8, 2020;
<https://www.cdc.gov/coronavirus/2019-ncov/hcp/dental-settings.html>
9. Interim Infection Prevention and Control Recommendations for Patients with Suspected or Confirmed Coronavirus Disease 2019 (COVID-19) in Healthcare Settings. CDC. April 13, 2020;
https://www.cdc.gov/coronavirus/2019-ncov/hcp/infection-control-recommendations.html?CDC_AA_refVal=https%3A%2F%2Fwww.cdc.gov%2Fcoronavirus%2F2019-ncov%2Finfection-control%2Fcontrol-recommendations.html

10. SARS-COV-2 / Covid-19 - Risikomanagement in Zahnarztpraxen. DAHZ-Redaktionsausschuss 19.04.2020;
<http://dahz.org/>
11. System von Standardvorgehensweisen (SOP) für Zahnarztpraxen während der Coronavirus-Pandemie erstellt. 24.04.2020; Institut der Deutschen Zahnärzte (IDZ).
<https://www.idz.institute/publikationen/sonstiges/system-von-standardvorgehensweisen-fuer-zahnarztpraxen-waehrend-der-coronavirus-pandemie.html>
12. <https://www.zm-online.de/news/politik/eine-einschraenkung-der-zahnmedizinischen-behandlung-ist-nicht-zu-rechtfertigen/>
13. Guidance PPE for patients with emergency oral and dental problems of unknown COVID Status. BAOMS, 25 March 2020
https://www.baoms.org.uk/userfiles/pages/files/professionals/covid_19/baoms_baos_covid_advice_update_25_march_2020_final.pdf
14. „Recommendations for Diagnostic Imaging during COVID-19 pandemic“ The development and production of this guideline was led by Dr Paul Nixon, Dr Jackie Brown, Dr John Rout and Dr Bethan Thomas on behalf of the British Society of Dental and Maxillofacial Radiology and the Faculty of Dental Surgery, Royal College of Surgeons of England. 2020
<https://www.rcseng.ac.uk/dental-faculties/fds/coronavirus/>
15. Summary of Infection Prevention Practices in Dental Settings. Centers for Disease Control and Prevention. October 2016 <https://www.cdc.gov/oralhealth/infectioncontrol/pdf/safe-care2.pdf>

COVID-19-ის პანდემიის პირობებში სტომატოლოგიური მომსახურებისას
იდს-ს ჩაცმა-გახდის რიგითობა

სუფთა ზონა (შერჩეული სივრცე / ოთახი)

1. ბაზილების ჩაცმა;
2. ხელის დამუშავება;
3. სითხეგაუმტარი სამედიცინო ხალათის ჩაცმა;
4. რესპირატორის მორგება მიღებული წესით;
5. სამედიცინო ქუდის/ჩაჩის მორგება;
6. სახის ფარის მორგება;
7. ხელის დამუშავება;
8. სამედიცინო ხელთათმანის ჩაცმა.

გაფრთხილება!

- დაიცავით ხელის დაბანის და სპირტხსნარით დამუშავების წესები!
- პაციენტი ნიღაბს იხსნის უშუალოდ პროცედურის წინ, სტომატოლოგიურ სავარძელზე!
- ჭუჭყიანი ზონა შეიძლება იყოს როგორც სპეციალურად გამოყოფილი სივრცე, ასევე სამკურნალო ოთახი. ორივე შემთხვევაში, ეკიპირების მოცილების შემდეგ, უნდა მოხდეს მისი განთავსება და ზედაპირების დეზინფექცია.

ინტერნეტრესურსები:

- <https://www.youtube.com/watch?v=of73FN086E8>
- <https://www.youtube.com/watch?v=PQxOc13DxvQ>
- https://www.youtube.com/watch?v=kKz_vNGsNhc
- <https://www.youtube.com/watch?v=syh5UnC6G2k&t=26s>
- <https://www.youtube.com/watch?v=tfTTL694UAQ>
- www.cdc.gov/infectioncontrol/pdf/guidelines/isolation-guidelines-H.pdf
- https://www.adha.org/resources-docs/ADHA_TaskForceReport.pdf

ჭუჭყიანი ზონა (შერჩეული სივრცე / პაციენტის სამკურნალო ოთახი)

1. ხელთათმანის მოხსნა;
2. ხალათის გახდა;
3. ხელის დამუშავება;
4. სახის ფარის მოხსნა;
5. ხელის დამუშავება;
6. სამედიცინო ქუდის/ჩაჩის მოხსნა;
7. ბაზილების გახდა;
8. ხელის დამუშავება;
9. რესპირატორის მოხსნა (სუფთა ზონაში);
10. ხელის დაბანა წყლით და საპნით ან დამუშავება.

გაფრთხილება!

- თუ რესპირატორის ხმარებიდან 8 საათი არ არის გასული, შემდეგი პაციენტის მიღებისთვის უკვე მორგებული რესპირატორით შედით სუფთა ზონაში, დაიმუშავეთ ხელები და გააგრძელეთ ეკიპირება გაწერილი წესის მიხედვით.